მოზარდის ქცევაზე ჯგუფის გავლენის მნიშვნელობა ბულინგის პრევენციისას

ნინო ფირცხალაიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

ბულინგის პრობლემასთან დაკავშირებით, ბავშვთა და მოზარდთა წრეში მრვალი კვლევაა ჩატარებული. კვლევებიდან ჩანს, რომ ბულინგში ჩართულობა, როგორც მსხვრეპლს, ასევე მჩაგვრელს და დამკვირვებელს სკოლასთან ფსიქოსოციალური და აკადემიური ადაპტაციისას, სერიოზულ საფრთხეს უქმნის. სტატიაში საუბარია ბულინგის მკვლევარების ადრეული მოსაზრებების შესახებ: თავდაპირველად რას ნიშნავდა ტერმინი „მობინგი“, რას გამოხატავდა სიტყვა „მობ“, მობინგის დროს რამდენად იყო გაზიარებული ჯგუფის მონაწილეობის იდეა და ა.შ. ასევე, შედარებულია ბულინგში ჯგუფის მონაწილეობის ადრეული და თანამედროვე შეხედულებები. წარმოდგენილია სადოქტორო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის მცირე ნაწილის ანალიზი მოზარდების ქცევის სტილსა და ჯგუფის შეჭიდულობას შორის კავშირის განსზაღვრის მიზნით და ბოლოს დასკვნის სახით საუბარია ბულინგის წინააღმდეგ ეფექტური პრევენციული მეთოდების შემუშავების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: მობინგი, ბულინგი, ჯგუფი, პრევენცია, კეთილდღეობა.

შესვალი

ბულინგის პრობლემასთან დაკავშირებით, ბავშვთა და მოზარდთა წრეში მრვალი კვლევაა ჩატარებული. თუმცა, შეიძლება, ნებისმიერ წრეში, სადაც ადამიანებს აქვთ ურთიერთობა, ადგილი ჰქონდეს ბულინგს. მაგალითად: საბავშვო ბაღი, [1] სამსახური, [2] ციხე[3] ან ჯარი [4].

ბულინგში ჩართულობა, როგორც მსხვერპლს [5], ასევე მჩაგვრელს [6] სკოლასთან ფსიქოსოციალური და აკადემიური ადაპტაციისას, სერიოზულ საფრთხეს უქმნის. ამას გარდა, საფრთხე ემუქრება ბულინგის დამკვირვებელსაც (შემოხვევითი შემსწრე) [8].

თეორიული მიმოხილვა

ბულინგი წარმოადგენს აგრესიული ქცევის ქვეტიპს, როდესაც ინდივიდი ან ადამიანების ჯგუფი მრავალგზის თავს ესხმის, ამცირებს ან დევნის ჯგუფიდან ადამიანს, რომელსაც არ შეუძლია დაიცვას საკუთარი თავი. ცნობილია, რომ დაწყებითი და საშუალო საფეხურის მოსწავლეების, არც ისე დიდი (თუმცა შესამჩნევი) ნაწილი, ბულინგის პროცესში ჩართული არიან ან მჩაგვრელის, ან მსხვერპლის ან ორივეს როლში, როდესაც სხვებისგან დაჩაგრული მოზარდები, თავის მხრივ, სხვა ბავშვებს ჩაგრავენ. უკეთ რომ გავიგოთ, თუ რა როლი აქვს ჯგუფს ჩაგვრის პროცესში, გადავხედოთ მკვლევართა ადრეულ შეხედულებებს: თავდაპირველად, სკანდინავიურ ენაში, ჩაგვრის გამოსახატად გამოიყენებოდა ტერმინი - „მობინგი“ (mobbing), რაც ნიშნავდა ბავშვების ჯგუფის მიერ შერჩეული მსვერპლის სახით, ერთი და იმავე თანატოლის სასტიკ, მრავალგზის განმეორებად დევნას. ტერმინი „მობ“ (mob) (ბრბო) გამოხატავდა ბავშვების ისეთ ქცევას, როგორიც არის არაორგანიზებული, ემოციურად აგზნებული, ხშირად ანტისაზოგადოებრივი და აგრესიული ბრბოს ქცევა.

ამგვარად, ადრეულ შრომებში „მობინგის“ შესახებ, სასკოლო ასაკში, ჯგუფის მონაწილეობის იდეა აშკარად არსებობდა. მობინგით ახასიათებდნენ სიტუაციას, როდესაც მთელი კლასი ან მისი დიდი ნაწილი თავს ესხმოდა ცალკეულ ბავშვს. სკანდინავიელი მკვლევარის ოლვეუსის (Olweus) [8] ადრეულ

კვლევებში, ხაზგასმულია თანატოლებზე თავდასხმაში ცალკეული მჩაგვრელის, ზოგჯერ კი მჩაგვრელთა პატარა ჯგუფის როლი. ოლვეუსი, ამავდროულად საუბრობდა „კოლექტიურ მობინგზეც“. დღესდღეობით, ჩაგვრაში ჯგუფური მონაწილეობა სხვაგავრად არის გაგებული, ვიდრე ინდივიდის, ჯგუფის ან მთელი კოლექტივის თავდასხმა ერთ ადამიანზე. ჯგუფის წევრები, რომლებიც ახორციელებენ ჩაგვრას, განიხილებიან, როგორც მონაწილეები, რომელბსაც ამ პროცესში აქვთ სხვადასხვა როლი, რაც იმართება ემოციებით, ურთიერთობებითა და მოტივებით. გარკვეულწილად, მათი მონაწილეობის ინდივიდულური ფორმები, კორელაციაშია კლასში ჩამოყალიბებულ ურთიერთობის ნორმებთან. ბულინგის ჯგუფურ კონტექსტში განხილვა გვეხმარება უკეთ გავიგოთ ცალკეული ადამიანების ქცევის მოტივი, მათი მხრიდან მსხვერპლის მხარდაჭერის სურვილის არარსებობა, ასევე ჩაგვრაში მათი მონაწილეობის ხანგრძლივობა. ამას გარდა, შესაძლოა, ჯგუფური კონტექსტი, სასარგებლო აღმოჩნდეს ბულინგის, როგორც მოვლენის და მჩაგვრელის, როგორც ინიციატორის წინააღმდეგ ეფექტური მეთოდების შემუშავებისას.

მჩაგვრელის ქცევის მოტივთან დაკავშირებით, მრავალი მოსაზრება არსებობს. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, თანატოლის ჩაგვრას საფუძვლად უდევს ჯგუფში მაღალი სტატუსის და ძლიერი, დომინირებული პოზიციის მიღწევა [9]. ჯგუფში სტატუსის ძიება, პირდაპირ კავშირშია მოზარდის ქცევის მოტივსა და ჯგუფში არსებულ ურთიერთობებთან. სტატუსს ჯგუფის წევრებს, სწორედ ჯგუფი ანიჭებს. ამიტომ, მჩაგვრელები საკუთარი მიზნის რეალიზებისას - მიაღწიონ განსაზღვრულ სტატუსს, დამოკიდებულნი არიან თანატოლებზე. ბავშვები განსხვავდებიან ერთმანეთისგან იმის მიხედვით, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებენ ისინი კომუნიკაციურ მიზნებს (შეიძინოს მეგობრები, შეესაბამებოდეს ჯგუფის ქცევის ნორმებს, საკუთარი თავი აღიქვას კოლექტივის ნაწილად) და სტატუსის მიზნებს (თანატოლთა ჯგუფში იყოს შემჩნეული, გავლენიანი და პატივცემული).

საინტერესოა, სადოქტორო თემის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგების მცირე ნაწილის ანალიზი. კვლევა ჩატარდა შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული, თბილისის სამი საჯარო სკოლის რამდენიმე კლასში. კვლევაში მონაწილეთა საერთო რაოდენობა იყო 75 მოსწავლე და მათი ასაკი მერყეობდა 12-დან 13 წლამდე. კვლევის მიზანს წარმოადგენდა, მოზარდების ქცევის სტილსა და ჯგუფის შეჭიდულობას შორის კავშირის განსზაღვრა.

კვლევისთვის გამოყენებული იყო მეთოდები: ჯგუფის განწყობის განმსაზღვრელი რამდენიმე კითხვა და ჯგუფის სოციომეტრული კვლევა.

ჩვენთვის, საინტერესო იყო, კითვხვებზე: „ვის ეტყვი ჩაგვრის შესახებ?“ და „შენი თანაკლასელების უმრავლესობა, რას იტყვის ბულინგის შესახებ?“ პასუხების თავისებურებები, რაც ჯგუფის განწყობის განსაზღვრის საშუალებას იძლეოდა. კვლევაში მონაწილე მოსწავლეთა დიდი რაოდენობა ბულინგის შესახებ გამოცდილებას უზიარებს მეგობრებს (ძირითადად ვაჟები -48%, გოგონები -20.5%), ნაკლები რაოდენობა არჩევს, არავის გაუზიაროს (ვაჟები - 44,4%, გოგონები - 29,5%) და უფრო ნაკლები - დედას (ძირითადად გოგონები - 27 %, ვაჟები - 3.7%). მოსწავლეთა უმნიშვნელო რაოდენობა (საერთო რაოდენობის - 2- 6 %), საკუთარ გამოცილებას უზიარებს - მამას, დაძმას, მასწავლებელს და ა.შ.

კითხვაზე - „შენი თანაკლასელების უმრავლესობა, რას იტყვის ბულინგის შესახებ?“ მოსწავლეებს მიაჩნიათ, რომ თანაკლასელები უპასუხებენ იგნორირებით (26.7%), შედარებით მცირე ნაწილმა არ იცის რას უპასუხებს (21.3%), ან არ გაამართლებენ (13.3%), უფრო მცირე ნაწილის აზრით თანაგდომას გამოიჩენენ (9.3%). ჯგუფის მხრიდან ნეგატიური უკუკავშირის მოლოდინი აქვთ ერთეულ მოსწავლეებს (2 – 6%).

სოციომეტრული კვლევის მონაცემებიდან ჩანს, რომ ჯგუფებში ადგილი აქვს, როგორც ურთიერთარჩევის ერთეულ შემთხვევებს, ასევე წყვილებს, სამეულებს და ქვეჯგუფებს შორის ურთიერთკავშირს.

კვლევის მონაცემების ანალიზისას, ურთიერთარჩევის მქონე ჯგუფებში საკუთარ გამოცდილებას უზიარებენ მეგობრებს და მათი მხრიდან აქვს მხარდაჭერის მოლოდინი. ნეგატიური მოლოდინი, მაგალითად - იგნორირება, აქვთ იმ მოსწავლეებს, რომლებიც იმყოფებიან

წყვილებს შორის ურთიერთკავშირში, მცირე ნაწილი ქვეჯგუფების და ურთიერთარჩევაში არ იმყოფება.

დასკვნა

ამრიგად, ჯგუფის შეჭიდულობის მაჩვენებელი გავლენას ახდენს ჯგუფის წევრების ქცევის სტილზე (ამ შემთხვევაში, თანატოლებს უზიარებენ ან არ უზიარებენ ჩაგვრის გამოცდილებას და ჯგუფისგან აქვთ პოზიტიური და ან ნეგატიური უკუკავშირის მოლოდინი). კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ ჯგუფის შეჭიდულობის მაღალი ხარისხის მქონე ჯგუფის წევრები, უფრო მეტად არიან გახსნილი თანატოლებთან და ღიად საუბრობენ ბულინგის გამოცდილების შესახებ, რამდენადაც აქვთ ჯგუფისგან მხარდაჭერის იმედი.

ჩვენი კვლევის შედეგები, გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ მოსწავლეების ქცევის ინდივიდულური თავისებურებები, კორელაციაშია კლასში ჩამოყალიბებულ ურთიერთობის ნორმებთან. ამიტომ, მნიშვნელოვანია ბულინგის წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილოთ ჯგუფში არსებული კლიმატის სიღრმისეულ კვლევაზე, ვიზრუნოთ ჯანსაღი ურთიერთობის ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაზე, რაც სამომავლოდ არის გარანტი მთლიანად ჯგუფის და მისი თითოეული წევრის განვითარებისა და კეთილდღეობის.

ლიტერატურა

1. Alsaker F., Nagele C. Bullying in kindergarten and prevention//Understanding and addressing bullying: An international Perspective PrevNet Publication series/ D. Pepler, W. Craig. 2008. Vol.I.P.230 -248.
2. The impact of bystanding to workplace bullying on symptoms of depression among women and men in industry in Sweden / Jensen I.B., [et.al.]//International Archives of Occupational and Environmental Health (Springer Berlin Heidelberg). 2013. Vol. 86, N6. P.709 -716. Doi: 10.1007/s00420-012-0813-1.
3. South C., Wood J. Bullying in prisons: The importance of perceived social status, prionization, and moral disengagement//Aggressive Behavior.2006. Vol.32, N5.P.490 – 501. Doi:10.1002/ab.20149.
4. Ostvik K., Rudmin F. Bullying and hazing among Norwegian army soldiers: Two studiesment in school-based intervention program//Militaty Psychology.2001. Vol.13, N1. P 17-39. http://dx.doi.org/10/1207/S15327876MP1301_-02
5. Erath S., Planagan K., Bierman K. Early abolescent school adjustment: Associations with friendship and peer victimization//social Development. 2008.Vo.17.P.853-870.
6. Bullying at school – An indicator of adolescents at risk for mental disorders/Kaltiala-Heino,R.,[et.al]//Journal of Adolescence.2000.Vol.23.N6.P.661-674.doi:10.1006/jado.2000.0351.
7. Nielsen M., Matthiesen S., Einarsen S.Sense of coherence as a protective mechanism among targes of workplace bullying//Journal of Occupational Health Psychology.2008.Vol.13,N2.P.1280136.http://dx.doi.org/10.1037/1076-8998.13.2.128.
8. Olweus D. Bullying at school: Long-term outcomes for the victims and an effective school-based intervention program//Aggressive behavior: Current perspectives/L.R Huesmann, Ed. New York: Plenum Press, 1994. P.970139.
9. Salmivalli C. Bullying and the peer group:A review//Aggression and Violent Behavior.2010. Vol.15,N2.P.112-120.doi:10.1016/j.avb.2009.08.007.

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY. DOCTORAL STUDENT OF THE FACULTY OF ENGINEERING ECONOMICS, MEDIA TECHNOLOGIES AND SOCIAL SCIENCES

Nino Pirtskhalaishvili

The importance of group influence on adolescent behavior in the prevention of bullying

Abstract

Regarding the problem of bullying, many studies have been conducted in the circle of children and adolescents. Studies show that involvement in bullying poses a serious threat to the psychosocial and academic adjustment to school for both the victim, the oppressor, and the bystander. The article discusses the early opinions of bullying researchers: What did the term "mobbing" originally mean, what did the word "mob" express, how much was the idea of group participation shared during mobbing, etc. Early and modern views of group participation in bullying are also compared. The analysis of a small part of the research carried out within the framework of the doctoral thesis is presented in order to clarify the connection between the behavior style of adolescents and the tension of the group, and finally, as a conclusion, it is discussed about the development of effective preventive methods against bullying.

Key words: mobbing, bullying, group, prevention, well-being.